საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჯოლია კანდიდატურა?
დიახ   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად მიხეილ ჯინჯოლიას საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მიხეილ ჯინჯოლია.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მიხეილ ჯინჯოლია ასევე შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 91 ქულა.

საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს №1/85 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - მიხეილ ჯინჯოლია.

მიხეილ ჯინჯოლიას შეფასების შედეგების ანალიზისა და მასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე მიხეილ ჯინჯოლიას კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა შემფასებელი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1085 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1200) 90,42 პროცენტია.

2025 წლის 01 სექტემბერს მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მისი პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. მივიღე გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს მიხეილ ჯინჯოლია, ვინაიდან შეფასებების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე მივიჩნიე, რომ მას გააჩნია ყველა აუცილებელი პიროვნული და პროფესიული თვისება, რათა სრულფასოვნად განახორციელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ზურაბ გურასპაშვილი